საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000391

24 სექტემბერი 2019 წ.

უფროსი ინსპექტორი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის სამსახურის ინსპექტორ [redacted]

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: სს „ოქროს სადაზღვევო კომპანია" ს/კ 204861970
ფაქტ. მის. ქ. ფოთი, ქ. ჩიტაიშვილის ქუჩა №3/5
იურიდიული მის. ქ. ფოთი, ფეხიანის ქუჩა №32
ტელ.: [redacted] ბანკი [redacted]

სახელი, გვარი, პირადი №, ჩამბარებელი ოკუპირებულ ტერიტორიებიდან / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:
1. ფოთის ფეხიანის ქუჩა №32 15.09.2019წ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინსპექციის სამსახურის ინსპექტორ [redacted] ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან „შრომის უსაფრთხოების შესახებ"
მუხლი 5. პუნქტი 1. ქვეპუნქტი „ბ", „ე"
მუხლი 5 პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ა", „ე", „ვ", „ზ"
მუხლი 5. პუნქტი 8. მუხლი 5. პუნქტი 9.
მუხლი 6. პუნქტი 1.
მუხლი 6. პუნქტი 3. ქვეპუნქტი „ა", „ბ", „გ"
მუხლი 7. პუნქტი 2. პუნქტი 5.
მუხლი 8. პუნქტი 1.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 „ძალადობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების"
მუხლი 1. პუნქტი 3.
საქართველოს მთავრობის დადგენილება №477, „სამუშაოზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების"
მუხლი 4. პუნქტი 1.
მუხლი 5.
მუხლი 15. პუნქტი „ა", „ბ", „გ"

ტექნიკური რეგლამენტის დარღვევა მოიცავს № 000391

5. დარღვეული: „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მუხლი 22 პუნქტი 1 მუხლი 23 პუნქტი 1

(ნორმატიული აქტის)

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა: 10 (10) დღე

(კალენდარული)

7. სახდელის სახე, ოდენობა: ჯარიმა (ლარი - ჯარიმის მემთხვევაში)

8. დამრღვევის ახსნა განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: [redacted] / [redacted] /

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

11. სამართალდამრღვევი: [redacted] / [redacted] /

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

12. მოწმე: _____ / _____ /

(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

13. დაზარალებული: _____ / _____ /

(სახელი და გვარი) (ხელმოწერა)

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: ფოტო-ვიდეო მასალა №000291, ბეჭდვითი მასალა ოქმი

(საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები)

15. შენიშვნა: [redacted]

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

დამამზადებელი: შპს „კაბადონი+"

სფს-ს რეგისტრაციის № 25-5468

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, გასაცნობოდს შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა. ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ზემდგომ ორგანომი (ზემდგომ თანამდებობის პირთან) – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (მის.:ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადაში ჯარიმის გადახდის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა № 000391

შედგენის თარიღი 24.09.2019 წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას ვონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ" 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

ობიექტის დასახელება და მისამართი: სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი" (ს/ნ 204861970).

იურ. მის: თბილისი. ვაკე-საბურთალოს რაიონი. ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5.

ფაქტ. მის: ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზირი N32.

რექტორი: [redacted]

საკონტაქტო პირი: მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი [redacted]

ტელეფონი: [redacted]

მარტის 15 სექტემბერს სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს კუთვნილ სამშენებლო მოედანზე (მის: ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზირი N 32) მომხდარ უბედურ შემთხვევაზე (გარდაიცვალა ერთი დასაქმებული) რეაგირების მიზნით განხორციელდა მოკვლევა და დასაქმებულთა შრომის პირობების ინსპექტირება ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის ბრძანება №01-11/ნ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე" (იხ. მოკვლევის ოქმი) საფუძველზე. ინსპექტირება შემოიფარგლა ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, სამუშაო აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებით, საწარმოში წარმოებული შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით, დასაქმებულებთან გასაუბრებით, ფოტო და ვიდეო გადაღებით.

15.09.2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N 000390 სამშენებლო მოედანზე სიმაღლეზე მუშაობის შეჩერების შესახებ (იხ. თანდართული დოკუმენტაცია).

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ",

საქართველოს მთავრობის დადგენილება N 477 „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე",

საქართველოს მთავრობის დადგენილების N361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"

თანახმად, გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების მიზნით გევალებათ სამშენებლო მოედანზე განახორციელოთ შემდეგი პრევენციული ღონისძიებები:

N	გაცემული მითითება
1	სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განსაზღვრეთ კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების და მართვის სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები. უზრუნველყავით პრევენციული ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემის დანერგვა და განხორციელება საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად. 1. შეიმუშავეთ თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს. 2. შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით. 3. შეამცირეთ და აღმოფხვერით საფრთხის შემცველი ფაქტორები. 4. იზრუნეთ არსებული რისკების თავიდან აცილებაზე. 5. შეაფასეთ ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია. რისკის შეფასება განახორციელეთ და განმარტეთ, როგორც ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას (მუხლი 3. პუნქტი „ფ"). სამშენებლო მოედანთან მიმართებაში წარმოადგინეთ რისკის შეფასების დოკუმენტი და სარემონტო სამუშაოები განაახლეთ მხოლოდ მეთოდური შრომის უსაფრთხოების გეგმის შემუშავების შემდგომ. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6. პუნქტი1, ქვეპუნქტი: „ა-ვ"). სამუშაოს დაწყებამდე ან/და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე მოახდინეთ საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება და მიიღეთ შესაბამისი პრევენციული ზომები (დადგენილება N477 მუხლი 4. პუნქტი1)
2	განსაზღვრეთ დასაქმებულების სწავლების ჩატარების შესახებ გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისი კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს და რისკის შეფასების და საფრთხის იდენტიფიცირების ანალიზზე დაფუძნებულ სისტემას. თანამშრომლებს მიაწოდეთ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე უსაფრთხო შრომის პრინციპების და სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკის და სამუშაო აღჭურვილობის გამოყენების და შეკეთების ინსტრუქციების და სახელმძღვანელოების შესახებ. უზრუნველყავით დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდეთ ინფორმაცია: ა)უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; ბ)სამუშაო პროცედურების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

	ვ)არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5. პუნქტი 2. ქვეპუნქტი „ა“, „ბ“, „დ“). (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1 , ქვეპუნქტი „თ“)
3	შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა, მათ შორის მძიმე ტექნიკის, ხელის ინსტრუმენტების და მოახდინეთ დოკუმენტირება. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5 . პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ.ა“
4	შეიმუშავეთ და დასაქმებულებს ჩაუტარეთ სწავლება საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების გზების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ“
5	შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრეთ პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ზედამხედველობა გაუწიოს და არ დაუშვას სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი დასაქმებული. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ი“
6	დასაქმებული აღჭურვეთ აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: სპეც ტანსაცმელი, სპეც ფეხსაცმელი, ვარდნის საწინააღმდეგო ქამარი და ღვედი, ტენმედეგი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სასუნთქი სისტემის, სმენის და მხედველობის ორგანოების დამცავი საშუალებები, ხელთათმანები (მათ შორის ანტივიბრაციული). უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გააკონტროლეთ მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5. პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ.ბ“ მუხლი 6. პუნქტი 3. ქვეპუნქტი „ზ“)
7	ჭაურები დაიფაროს სპეციალური ხუფებით, ისეთი სიმყარით რომ შეუძლებელი იყოს შემთხვევითი გადაადგილება. N477. მუხლი 15. პუნქტი „ა“, „ბ“ „გ“
8	დამცავი მოაჯირები დაამონტაჟეთ ყველგან სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე და მათი მონტაჟისას გაითვალისწინეთ კანონით განსაზღვრული ნორმები და წესები. N477. მუხლი 5
9	ბრძანებით დაინიშნოს ან მოწვეულ იქნას აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. მუხლი 7. პუნქტი 2. პუნქტი 5.
10	სამშენებლო მოედანზე რამდენიმე ორგანიზაციის ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში, მშენებლობის უსაფრთხოების საკითხი განხილული იქნეს და შეთანხმდეს ერთობლივად მთავარ კონტრაქტორთან ან/და დამკვეთთან (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის დადგენილება №361 „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 1. პუნქტი 3.

11	განისაზღვროს ტვირთების დასაწყობების მოედნები და ადგილები, აღიჭურვოს ისინი აუცილებელი ტექნოლოგიური აღჭურვილობით და სამარჯვებით (ქვესადგამებით, ქვესადებებით, შუასადებებით და სხვა)
12	სამშენებლო მოედანზე დაამონტაჟეთ/მოაწყეთ კოლექტიური დაცვის საშუალებები - მოაჯირები, ჯებირები, გამიჯნეთ მძიმე ტექნიკის და პერსონალის სავალი გზები და სამუშაო სივრცეები. განათავსეთ შესაბამისი ნიშანდება. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 6. პუნქტი 3. ქვეპუნქტი "ვ").
13	რამდენიმე საწარმოს დასაქმებულების ერთად მუშაობისას უზრუნველყავით: ა) ითანამშრომლეთ სხვა დამსაქმებელთან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით; ბ) სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყავით დამსაქმებელთა საქმიანობის კოორდინაცია დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით; გ) გაცვალეთ შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შესახებ ინფორმაცია სხვა დამსაქმებელთან; დ) მიაწოდეთ ინფორმაცია დასაქმებულებს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს უსაფრთხოებისა და პროფესიული რისკების შესახებ; (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5. პუნქტი 8).
14	უზრუნველყავით დასაქმებულების დაზღვევა უბედური შემთხვევის კომპონენტით(საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5. პუნქტი 9).
15	სამშენებლო უბნებზე გაატარეთ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები, მათ შორის სამუშაო ადგილზე საფთიაქო საშუალებების განთავსება და ექიმამდელი დახმარების უნარების სწავლება დასაქმებულებისთვის (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 8. პუნქტი 1).
16	ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვრეთ შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ". მუხლი 6. პუნქტი 3. ქვეპუნქტი ა)

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: [redacted]

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.

ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

[redacted]

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა

უფლებამოსილი პირი:

[redacted]

სამართალდამრღვევი:

[redacted]